

# ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სპორტული  
ღონისძიების, მძლეოსნური **გარბენის ორგანიზების** (CPV92600000)  
შესყიდვის

## ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ბათუმი

2016 წელი

## სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება-----	3
2. დანართი N1-----	6
3. დანართი N2-----	7
4. დანართი N3-----	9
5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი-----	10

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

### 1.1 შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) ქ. ბათუმში, ბათუმობის დღესასწაულთან მიმდებარე მძლევსნური გარბენის ორგანიზება. დანართი N2 (ფასების ცხრილი);

### 1.2. ტექნიკური პირობები:

#### 1.2.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

1. ღონისძიების მონაწილეთა დაჯილდოება სიგელით (სიგელი ჩარჩოში, ქაღალდის 300 გრ, A3 ფორმატი) დიზაინი და სიგელზე წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით;
2. ტანსაცმელზე მისაწებებელი სტიკერების დამზადება (A4 ფორმატი) დიზაინი და სტიკერზე წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით;
3. ბრენდირებული სპორტული მაღაზიიდან 200-300-500 ლარიანი სასაჩუქრე ბარათის წარმოდგენა;
4. საპრიზო ადგილზე გასულ მონაწილეთა დაჯილდოება პრიზებით (პრიზი დამზადებული ორგანული მინით, ზომა: სიგანე 210 მმ და სიმაღლე 290 მმ, მიმაგრებული დამუშავებულ და გალაკულ ხის დაფაზე, ზომა : სიმაღლე 320 მმ და სიგანე 240 მმ) დიზაინი და წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით;
5. სპორტული ღონისძიების საინფორმაციო ბანერის დამზადება სადგამით (ფერადი, ზომა: სიმაღლე 2 მეტრი, სიგანე 4 მეტრი; ბანერი დამაგრებული უნდა იყოს რკინის მყარ კარკასზე, მყარი კარკასი უნდა იყოს დასაშლელ ასაწყობი კონსტრუქციის);
6. მსაჯის მომსახურება (რეკომენდირებული აჭარის მძლევსნობის ფედერაციის მიერ);
7. ღონისძიების დაჯილდოების ორგანიზება- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს: 5 ცალი ელექტრო ფეირვერკის მოწყობა (არანაკლებ 25 წმ-ნი), კონფიტის აპარატით გასროლა ფერადი ქაღალდებით (არანაკლებ 2 გასროლა);
8. უსაფრთხოების ლენტი-უნდა იყოს გაბმული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ მონაკვეთზე;

**1.2.2** ტურნირის ადმინისტრირება უნდა განხორციელდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან ერთად ტექნიკური პირობების ყველა მოთხოვნის შეთანხმებით შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

### **1.3 ფასების ცხრილი:**

- ა) ფასების ცხრილი წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N2-ის შესაბამისად;
- ბ) ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გასახადი;
- გ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (პრეტენდენტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);
- დ) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, აკრედიტებული პირის დასკვნა (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

### **1.4 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ:**

- ა) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სპორტული ღონისძიების ჩატარების გამოცდილება, საერთო ღირებულებით მინიმუმ 20 000 ლარის და მის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სპორტული ღონისძიების ჩატარების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ინვოისი ან/და სხვა დოკუმენტაცია) ქვემოთ მოცემული ფორმის შესაბამისად, ასევე, სპორტული ღონისძიების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციები. (შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა დოკუმენტაცია).
- ბ) ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N3-ის შესაბამისად;

### **1.5 ანგარიშსწორების პირობები:**

- ა) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით;
- ბ) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში;
- გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- დ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 1.6 მომსახურების გაწევის ვადა:

1.6 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სექტემბრამდე;

## 1.7 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

4.1 ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე-2 პუნქტის მე-2.1 ქვეპუნქტის განსაზღვრული მოთხოვნებისა.

## 1.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

## 1.9 საკონტაქტო ინფორმაცია:

6.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. N27, საკონტაქტო პირები: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი მანანა სურმანიძე ტელ: 29 35 20, მობ: 577 65 05 03; ელ-ფოსტა: surmanidzeman@gmail.com ; თამთა მგელაძე: 577 65 05 39;

## 1. 10 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;
- ფასების ცხრილი დანართი N2-ის შესაბამისად;
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად;
- ტექნიკური დოკუმენტაცია (ანგარიშსწორების პირობები, მიწოდების ვადები და პირობები); - ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**რეკვიზიტები:**

სამართლებრივი ფორმა:

საფირმო სახელწოდება:

იურიდიული მისამართი:

ფაქტობრივი მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

მომსახურე ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი:  
(სახელი და გვარი)

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონი:

-----

-----

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელწერა)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა.)

დანართი №2

### ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება -----

N	მომსახურების დასახელება	მახასიათებლები	ფერი	რაოდენობა	განზომილებების ერთეული	ერთეულის ფასი	ჯამი	მიწოდების ვადები
1	სიგელი ჩარჩოში	ქაღალდის 300 გრ, A3 ფორმატის, დიზაინი და სიგელის წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით	ფერადი	8	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
2	ტანსაცმელზე მისაწებელი სტიკერი	A4 ფორმატის, დიზაინი და სტიკერზე წარწერა შემსყიდველთან შეთანხმებით	ფერადი	100	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
3	სასაჩუქრე ბარათი	200 ლარიანი ვაუჩერი უნდა იყოს წარმოდგენილი ბრენდირებული სპორტული მაღაზიიდან		4	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
4	სასაჩუქრე ბარათი	300 ლარიანი ვაუჩერი უნდა იყოს წარმოდგენილი ბრენდირებული სპორტული მაღაზიიდან		2	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
5	სასაჩუქრე ბარათი	500 ლარიანი ვაუჩერი უნდა იყოს წარმოდგენილი ბრენდირებული სპორტული მაღაზიიდან		2	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
6	პრიზი	დამზადებული ორგანული მინით, ზომა: სიგანე 210 მმ და სიმაღლე 290 მმ, მიმაგრებული ხის დამუშავებულ და გალაკულ დაფაზე,		8	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში

		ზომა სიმაღლე 320 მმ და სიგანე 240 მმ. (დიზაინი და წარწერა შეთანხმდეს შემსყიდველთან)						
7	დაჯილდოების ორგანიზება	მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს: 1. 5 ცალი ელექტრო ფირვერკის მოწყობა (არანაკლებ 25 წამიანი); 2. კონფიტის აპარატით გასროლა ფერადი ქაღალდებით (არანაკლებ ორი გასროლა)	შეთანხმებით	1	დღე			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
8	სპორტული ღონისძიების საინფორმაციო ბანერი სადგამით	ზომა: სიმაღლე 2 მეტრი; სიგანე 4 მეტრი. ბანერი დამაგრებული რკინის კარკასზე, მყარი სადგამებით (რკინის კარკასი უნდა იყოს დასაშლელ ასაწყობი კონსტრუქციის)	ფერადი	1	ცალი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
9	2 მსაჯის მომსახურება	2 მსაჯი რეკომენდირებულ ი უნდა იყოს აჭარის მძლეოსნობის ფედერაციის მიერ		1	დღე			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
10	ერთი მთავარი მსაჯი მომსახურება	1 მთავარი მსაჯი რეკომენდირებულ ი უნდა იყოს აჭარის მძლეოსნობის ფედერაციის მიერ		1	დღე			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში
11	უსაფრთხოების ლენტი	გაბმული უნდა იყოს შემსყიდველის მიერ მითითებულ მონაკვეთზე		2	კილომეტრი			შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელწერა)



(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა.)

დანართი N3

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

№	შემსყიდველი ორგანიზაცია	სპორტულ ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით გაფორმებული დოკუმენტაცია				მიწოდების ვადები
		დასახელება	თარიღი	ხელშეკრულების საგანი	ღირებულება	
1						

-----  
(პრეტენდენტის დასახელება)

-----  
(ხელწერა)

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

(თარიღი ბ.ა.)

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. ბათუმი

„--“ „-----“ 2016 წელი

ერთის მხრივ „ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება NSPA) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება-NSPA გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრისათვის ბათუმობის დღესასწაულთან მიძღვნილი მძლეოსნური გარბენის ორგანიზების მიწოდება სატენდერო დოკუმენტაციისა და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად CPV: 92600000.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- () ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა

- 4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.
- 4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 4.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის სრულად მიღებისა (მიწოდებისა) და საბოლოო შემოწმების შემდეგ, სასაქონლო ზედნადების (დღგ-ს ანგარიშფაქტურის) წარმოდგენის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

### 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მიწოდების ადგილი

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის --- 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტს მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. N27.

5.3 მომსახურება გაწეული უნდა იქნას 2016 წლის 10 სექტემბრამდე.

5.4 მოწოდებულ პროდუქციაზე მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიმწოდებელისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოითხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

## 7. ხელშეკრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრათან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

### 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.6 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

„ მიმწოდებელი“

დირექტორი:

დირექტორი: